

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობა
1000, ბაღდათი, წერეთლის ქ. # 9
ტელეფონი: (+995434) 22 2929, 22 2496
ელ-ფოსტა: info@baghdati.gov.ge



Baghdati Municipality Administration
9, Tsereteli Street, Baghdati, Georgia, 1000
Telephone: (995434) 22 2929, 22 2496
E-mail: info@bagdati.gov.ge

www.Baghdati.gov.ge

N 41/2183
02/09/2015

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის
დირექტორს ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი NOPD08/15-130 (14/08/2015) განცხადების პასუხად გაწვდით ინფორმაციას მოთხოვნის
შესაბამისად.

დანართი: 2(ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

ირაკლი გეგეშიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი მ/წლის 14 აგვისტოს #OPD08/15-130 განცხადების პასუხად გეგზავნებათ შემდეგი
სახის საჯარო ინფორმაცია:

- 1.2015 წელს თანამდებობის პირებზე პრემიები არ დარიცხულა;
- 2.2015 წელს თანამდებობის პირებზე სახელფასო დანამატები არ დარიცხულა;
- 3.2015 წელს არცერთ თანამშრომელზე პრემია არ დარიცხულა;
- 4.2015 წელს არცერთ თანამშრომელზე სახელფასო დანამატი არ დარიცხულა;
- 5.20015 წელს გაწეულ იქნა შემდეგი წარმომადგენლობითი ხარჯები:
 - 1) უნგრეთის რესპუბლიკის ქ.სომბათჰეის მერიის საკრებულოს და ისრაელის ქ. ჰაიფას დელეგაციების პატივსაცემად მოწყობილი სადილი;
 - 2) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდის ინიციატივით ჩატარებული საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალი “აღდგომიდან ამალეზამდე“ სტუმრების პატივსაცემად მოწყობილი სადილი-3510 ლარი;
 - 3) შშმ პირთათვის გელათის მონასტერში და ბაგრატის ტაძარში მოწყობილი ექსკურსიის დროს კვების უზრუნველყოფა-315 ლარი;
 - 4) სპორტული ღონისძიებების დროს მოწვეული სტუმრების პატივსაცემად მოწყობილი სადილი-550 ლარი;
 - 5) კონცერტზე მოწვეული მუსიკოსებისათვის გაწეული სადილის ხარჯი-210 ლარი;
 - 6) ბაღდათის ხედების დასურათებისათვის მოწვეული ფოტოხელოვანისათვის გაწეული სადილის ხარჯი-100 ლარი;
 - 7) ქალბატონებისათვის სარვამარტო საჩუქრების შექმნისათვის გახარჯული თანხა-232 ლარი, 40 თეთრი;
 - 8) სოფელ მეორე ოზაში ქალბატონის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით შექმნილი საჩუქრები-105 ლარი;
 - 9) ოლიმპიური ცეცხლის შემოსვლასთან დაკავშირებით ფურშეტისთვის გაწეული ხარჯი 259ლ. 45 თეთრი;
 - 10) ვ.ვ. მაიაკოვსკის სახლმუზეუმში ჩატარებული ღონისძიებისათვის გაწეული ხარჯი-127 ლარი, 75 თეთრი;
 - 11)“ოფთალმიჯის“ ექიმთა ვიზიტის დროს გაწეული ხარჯი- 237 ლარი და 65 თეთრი;

12) შშმ პირების დღესთან დაკავშირებით გაწეული კვების ხარჯი (ვარციხე-ვილაში) 620 ლარი;

13) გამგეობის სტუმრებისათვის ფურშეტზე გაწეული ხარჯი 113 ლარი;

14) საკრებულოს სხდომებისათვის წყლის შეძენის ხარჯი-81 ლარი და 50 თეთრი;

6.2015 წელს განხორციელდა შშმ პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების შესყიდვა, რაზეც გაიხარჯა 7600 ლარი, აქედან შესყიდვა გათვლილი იყო 24 ბენეფიციარზე;

7. 2015 წელს ავტომობილების შესყიდვა არ განხორციელებულა;

8.2015 წლის იანვრიდან დღემდე თანამდებობიდან გათავისუფლდა ხუთი საჯარო მოსამსახურე, მათ შორის სამი თანამდებობის პირი - საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (ორი მათგანი სხვა თანამდებობაზე გადასვლასთან დაკავშირებით) და ორი მთავარი სპეციალისტი საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 95-ე მუხლის საფუძველზე;

9.2015 წელს ბიუჯეტში ცვლილება არ განხორციელებულა, შესაბამისად, არც მიმოწერა არსებობს;

10.მრავალშვილიან ოჯახებზე შეღავათების გაწევის მიზნით 2015 წელს სოც. პროგრამაში „ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის“ ნაწილში გათვალისწინებულია 3500 ლარი ყოველი მეოთხე ბავშვის შეძენის დროს 3500 ლარი, 10 ბენეფიციარისათვის, ხოლო მე-5 და შემდგომი შვილის შეძენის დროს 2000 ლარი 5 ბენეფიციარზე.

11. მრავალშვილიანი ოჯახების (4 და მეტი შვილი) სოც. დახმარებაზე გაწეულ ხარჯებს 2007-24.08.2015 წ.წ. პერიოდისათვის წარმოგიგენტ რიცხვით მაჩვენებლებში შემდეგი სახით:

2007 წ.-150 ლ.-1 კაცი;

2008-არა;

2009-არა;

2010 წ.-900 ლ.-6 კაცი;

2011 წ.-1550 ლ.-7 კაცი;

2012 წ.-2150 ლ.-11 კაცი;

2013 წ.-1300 ლ. -6 კაცი;

2014 წ.-2100 ლ.-10 კაცი;

2015 წ. 24.08-მდე-3350 ლ.-9 კაცი.